ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1183466

ნომერი: AR1200690

თარიღი : 28.02.2014

გაცემის თარიღი : 26.03.2014

გაცნობის თარიღი : 26.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ახუნდოვი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლია სვანიძე პ/ნ 33001002550
- საბურთალოს ქ. 30 ბ. 35

ორგანიზაცია:
- შპს გლორია კოდი: 404379338

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N3 / ახუნდოვის ქ. N4–ში არსებული შენობის ბოლო სართულზე ტენტის ტიპის სახურავის მოწყობის საკითხი გადაგზავნილი იქნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ურბანული სექციის მიერ (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 20 მარტის N02/08–1350 წერილი (07-13/427)). აღნიშნული საკითხი საბჭოს შეფასებით განმეორებით უნდა იქნას წარმოდგენილი: ,, წარმოდგენილი მასალა

არ იძლევა სრულყოფილი განხილვის საშუალებას. დასამატებელია თვალსაჩინო მასალა – ახალი კონსტრუქციების სრული ნახაზები და ფოტომონტაჟები ხედვის სხვადასხვა წერტილრბიდან.''

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ლია სვანიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას, მოქ. ლია სვანიძეს გორგასლის ქ. N3 / ახუნდოვის ქ. N4–ში არსებული შენობის ბოლო სართულზე ტენტის ტიპის სახურავის მოწყობის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.